* * *

ნიავი, ია, ნარგიზი,
ავტომობილი კრიალა –
დილამ ასფალტის სარკეზე
ნავივით გაისრიალა.

აგერ მზის ამომთოვრება,
მაღლა ღრუბლების გარდავლა,
მან ერთი ჩემი ცხოვრება
ათას წელს გადაამრავლა.

გადაამრავლა, უმალი,
მსგავსი წუთისა, ჩრდილისა,
და მესმის ხმა იდუმალი:
წამოდექ, ძეო დილისა!

ო, ძეო დილის! აწ განვლის
. გრძნობა სიბნელის ნაფლეთის
აღმოსავლეთის, დასავლის,
ჩრდილოეთის და სამხრეთის.

მზემ, ხმალი რომ არ დაკიდა, –
რაც ფერებია, რაც დავლა,
ცხოვრება კიდევ და კიდევ
ათასზე გადაამრავლა!

მზემ, ლაჟვარდში რომ შეზრდილა
თავისი სახე ნახა და –
ეს ყვავილები, ეს დილა
მარადისობად გახადა.